საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკური
ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო

МИНИСТЕРСТВО ЗДРАВООХРАНЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
РЕСПУБЛИКАНСКАЯ ЦЕНТРАЛЬНАЯ КЛИНИЧЕСКАЯ БОЛЬНИЦА
ИМ. АКАД. Н. А. КИПШИДЗЕ

შრომათა კრებული

ტომი V

Том V

СБОРНИК ТРУДОВ

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი

ИЗДАТЕЛЬСТВО
«САБЧОТА САКАРТВЕЛО»
ТБИЛИСИ

1970

ო. ფუმგურიძე, თ. გიორგოგიანი,
ნ. თურმანიძე, მ. აფაქიძე.

ჩვენი შთაგონებულებები ავთვისებიანი სიმსივნეების პრეპარატ „კამელინით“ მკურნალობაზე

მიუხედავად იმისა, რომ ავთვისებიანი სიმსივნეების შესწავლის საკითხს დიდი ხნის ისტორია აქვს, მისი ეტიოპათოგენეზი და მკურნალობა დღემდე ბუნდოვანი რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი კონსერვატული მეთოდით მკურნალობას, რომელიც დაავადების ადრეული დიაგნოსტიკის შემთხვევაში ზოგჯერ დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა.

ქირურგთა საკავშირო 28-ე ყრილობაზე განხილულ იქნა საკითხი ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ ქიმიური პრეპარატების პერფუზიული მეთოდით გამოყენების შესახებ, რომელიც ორგანიზმს ერთგვარად იცავს პრეპარატის გვერდითი მოქმედებისაგან.

სადღეისოდ საკმარისად ცნობილ პრეპარატებს წარმოადგენს: ემბიხინი, ნოვოემბიხინი, დეპანი, ტიო-ტეფი, აურანტოლი, დეგრანონი, ენდოქსანი, სარკოლიზინი და სხვ.

ლიტერატურაში დიდძალი მასალაა დაგროვილი ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობაზე. ამის შესახებ ლაპარაკობს (ნ. ნ. პეტროვი, ს. ა. ხოლდინი, 1952, ნ. გ. ბლოხინი, 1960, ა. ფ. ლარიონოვი, 1962 ი. ნ. სმირნოვი, 1959, ტ. გ. ხოლეევა, 1960 და სხვ.) ავტორთა მონაცემები.

თანამედროვე შეხედულებების თანახმად, ავთვისებიანი სიმსივნეები პოლიეტიოლოგიური ხასიათისაა, ამასთან დაკავშირებით ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობის საკითხიც ვარიაბილურია.

ზემოაღნიშნული პრეპარატები მოქმედებენ რა სიმსივნურ ქსოვილზე, ამავე დროს ძლიერ ცვლილებებს იწვევენ სისხლში და უარყოფითად მოქმედებენ ორგანიზმზე. ამისათვის ძიება ახალი სამკურნალო ნივთიერებების აღმოსაჩენად ონკოლოგიის საზრუნავ საგანს წარმოადგენს და ყველა ახალი სიტყვა ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მედიცინის მოღვაწეთა შორის.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ არის ბ. ს. მაღლაკელიძის მიერ მოწოდებული პრეპარატი „კამელინი“, რომელმაც აკად. კ. დ. ერისთავის ხელმძღვანელობით ექსპერიმენტული და კლინიკური დაკვირვებების დიდი გზა გაიარა. აღნიშნული პრეპარატი პირველად მზადდებოდა კუსტარული წესით თვით ბ. მაღლაკელიძის მიერ, ხოლო სსრ კავშირის ფარმაკოლოგიური კომიტეტის მიერ 1964 წელს დაშვებული ბრძანების შემდეგ პრეპარატი დამზადებულ იქნა ქარხნული წესით „კამელინის“ სახელწოდებით.

პრეპარატი „კამელინი“ წარმოადგენს ბიოსტიმულოგენურ ნივთიერებას, რომელიც მზადდება განსაკუთრებული ჯიშის ფუტკრის თაფლისაგან, რომელსაც აქვს ანტიბლასტომური თვისებები. მისი ორგანიზმში შეყვანის შედეგად შემჩნეულია სიმსივნური ქსოვილის ზრდის შეჩერება და ზოგჯერ გაქრობაც. გამოიყენება საყლაპავის, ფილტვის, მუცლის ღრუს, შარდის ბუშტის, თირკმლის სარკომებისა და კარცინომების დროს. მკურნალობის კურსია 25 დღე. ერთი კურსის დამთავრების შემდეგ შესვენება რვა დღე, სულ 2—5 კურსი. კეთდება კუნთებში 1 გრამი 2—4-ჯერ დღეში ნოვოკაინთან ერთად, ერთ კურსზე იხმარება 75—90 გრამი.

ჩვენი შრომის მიზანია დაკვირვება გვეწარმოებინა პრეპარატ „კამილინის“ მოქმედებაზე ავთვისებიანი სიმსივნეების სხვადასხვა ფორმის დროს, შეგვესწავლა დინამიკაში ცვლილებები სისხლის მხრივ და ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა.

თბილისის სახ. სამედ. ინსტიტუტის პედ. სანჰიგ. და სტომატ. ფაკ. ზოგადი ქირურგიის კათედრაზე პრეპარატი „კამელინი“ ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ გამოყენებულია 1960 წლიდან 96 ავადმყოფზე, როგორც სუფთა სახით, ისე ქირურგიულ ჩარევასთან ერთად.

96 ავადმყოფიდან 25 — ქალი, 71 — მამაკაცი, 42-დან 75 წლის ასაკში.

დაავადების მიხედვით: კუჭის კიბო — 9 შემთხვევა, ნაწლავის სიმსივნეები — 11 შემთხვევა, რეტროპერიტონული სიმსივნე — 2, ფილტვის სიმსივნე — 8, პანკრეასის კიბო — 6, ღვიძლის კიბო — 2, ჰიპერნეფრომა — 3, შარდის ბუშტის კიბო — 46, სემინომა — 4, ასოს კიბო — 1 შემთხვევა.

დაავადების სტადიების მიხედვით: პირველ სტადიაში — 7 ავადმყოფი, მეორე სტადიაში — 40, მესამე სტადიაში — 32, მეოთხე სტადიაში — 17 ავადმყოფი.

სტადიების შერჩევა ხდებოდა ავადმყოფთა საფუძვლიანი კლინიკური გამოკვლევების შედეგად (სისხლის გამოკვლევა, აქცენტით ე.დ.რ.-ზე ჰემოგლობინის რაოდენობაზე, რენტგენოსკოპია, რენტ-

გენოგრაფია, ტომოგრაფია, პიელოგრაფია და რეტროპნეიმოპერიტონეუმი და სხვ.). დიაგნოზი მორფოლოგიურად დადგენილია 31 შემთხვევაში.

დიაგნოზის დადგენის შემდეგ ავადმყოფს ენიშნება პრეპარატ „კამელინით“ მკურნალობა ოპერაციისათვის მოსამზადებლად. ასეთი კომბინირებული სახის მკურნალობა ჩატარებული აქვს 40 ავადმყოფს. 56 ავადმყოფს ოპერაციის წინ დაეწყო მომზადება პრეპარატით, მაგრამ ისინი ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე უარს აცხადებდნენ ოპერაციაზე და ეწერებოდნენ.

შორეული შედეგების გამოკვლევისას (წერილობით) 96 შემთხვევიდან 21 შემთხვევაში მივიღეთ დადებითი პასუხი, გარდაიცვალა — 7, მისამართის შეცვლის გამო წერილები დაბრუნდა 9 შემთხვევაში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში პასუხი ვერ მივიღეთ.

ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალოდ დღემდე მოწოდებული პრეპარატები ორგანიზმში მთელ რიგ უარყოფით ბიოქიმიურ ძვრებს იწვევენ, ამიტომ მათი უმრავლესობა ამჟამად არ გამოიყენება ან გამოიყენება დიდი შეზღუდვით.

პრეპარატი „კამელინი“ წარმოადგენს თაფლის პრეპარატს და გარდა იმისა, რომ სპეციფიკური მოქმედება აქვს ავთვისებიანი სიმსივნეების ზოგიერთ ფორმაზე, დამაკმაყოფილებლად მოქმედებს ავადმყოფის ზოგად მდგომარეობაზე, უმჯობესდება სისხლის სურათი, მადა და იწყება ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება.

პრეპარატის ასეთი თვისებებისა და იმის გამოც, რომ მას არა აქვს გვერდითი მოქმედება ორგანიზმი, იგი შეიძლება შეუზღუდავად გამოვიყენოთ ავთვისებიანი სიმსივნეების ყველა ფორმით დაავადებულის სამკურნალოდ.

ზოგჯერ პრეპარატ „კამელინით“ მკურნალობის შემდეგ ინოპერაბილური ფორმა შეიძლება გახდეს ოპერაბილური. ამრიგად, იგი საშუალებას გვაძლევს მოვამზადოთ ავადმყოფი ოპერაციის წინ, ხოლო ოპერაციის შემდეგ გავაგრძელოთ მკურნალობის კურსი.

პრეპარატ „კამელინის“ გამოყენებით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთ შემთხვევაში მივიღეთ დამაკმაყოფილებელი შედეგები, რის საილუსტრაციოდ მოგვყავს რამდენიმე შემთხვევა.

ავადმყოფი გ. ნ., 54 წლის (ავადმყ. ისტ. 7678). მოთავსებულ იქნა კლინიკაში 1963 წლის 23 ნოემბერს ტკივილებით კუჭის არეში, რომელიც საკვების მიღებასთან იყო დაკავშირებული, და ზოგადი მძიმე მდგომარეობით. დაავადების ხანგრძლიობა 6 თვე.

კლინიკური გამოკვლევების შემდეგ დადგენილ იქნა კუჭის წყლული, რის გამოც გაკეთდა ოპერაცია — კუჭის რეზექცია. ოპერაციაზე ნახული იქნა კუჭის სიმსივნური წყლული მეტასტაზებით ლიმფურ ჯირკვლებში.

პათომორფოლოგიური დიაგნოზი — კუჭის კიბო.

ოპერაციის შემდეგ ჩაუტარდა მკურნალობა პრეპარატ „კამელინით". ავადმყოფი გაეწერა კარგ მდგომარეობაში. სულ ჩაუტარდა მკურნალობის სამი კურსი. ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ავადმყოფი ს. უ., 48 წლის, მამაკაცი (ავადმყ. ისტ. 8008). მოთავსებულ იქნა კლინიკაში 1962 წლის პირველ ნოემბერს. უჩივის ტკივილს მარჯვენა თირკმლის არეში, აქვს ჰემატურია, ავადმყოფი ავადაა რამდენიმე წელია, მკურნალობდა თბილისის სხვადასხვა უროლოგიურ განყოფილებაში თირკმლის კენჭოვანი დაავადების დიაგნოზით.

კლინიკური გამოკვლევებით დადგინდა მარჯვენა შარდსაწვეთის კენჭი. კენჭი ამოღებულ იქნა მარჯვენა შარდსაწვეთიდან. ოპერაციის მეორე დღიდანვე ავადმყოფს დაეწყო ჰემატურია მარცხენა თირკმლიდან, გაუკეთდა მარცხენამხრივი ლუმბოტომია, აღმოჩნდა თირკმლის სიმსივნე. გაკეთდა ნეფრექტომია.

პათომორფოლოგიური დიაგნოზი — ჰიპერნეფრომა.

ოპერაციის შემდეგ ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა გამოსწორდა. ჩაუტარდა მკურნალობა პრეპარატ „კამელინით". გაეწერა 142 დღის შემდეგ. ჩაიტარა მკურნალობის ოთხი კურსი. ამჟამად თავს კარგად გრძნობს, მუშაობს.

ავადმყოფი ს. ი., 65 წლის (ავადმყ. ისტ. 4038). მოთავსებულ იქნა კლინიკაში 1964 წლის 5 ივნისს დიზურიული მოვლენებითა და ჰემატურიით. დაავადების ხანგრძლიობა — ორი თვე. დაავადება დაეწყო შარდვის გახშირებით და ჰემატურიით.

კ ლ ი ნ ი კ უ რ ი გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ე ბ ი: ცისტოსკოპიით — შარდის ბუშტის უკანა კედელზე ბერძნული თხილის ოდენობის სოკოსმაგვარი სიმსივნე. ცისტოგრაფიით: ავსების დეფექტი შარდის ბუშტის უკანა კედელზე, შარდში პათოლოგიური ცვლილებები.

დადგინდა შარდის ბუშტის სიმსივნე. ავადმყოფს ჩაუტარდა პრეპარატ „კამელინით" მკურნალობის სამი კურსი. იგი გამოძახებულ და შემოწმებულ იქნა ცისტოგრაფიით — ავსების დეფექტი არ არის. დიზურიული მოვლენები არა აქვს. ამჟამად თავს კარგად გრძნობს.

ავადმყოფი დ. მ., 68 წლის (ავადმყ .ისტ. 1457), მამაკაცი. მოთავსებულ იქნა კლინიკაში 1960 წლის 11 თებერვალს დიზურიული მოვლენებისა და პერიოდული ჰემატურიის გამო. დაავადების ხანგრძლიობა სამი თვეა. კლინიკური გამოკვლევებით დადგენილ იქნა წინამდებარე ჯირკვლის კიბო. ავადმყოფი ოპერაციისათვის მზადდებოდა პრეპარატ „კამელინით". კლინიკაში ყოფნიდან რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფს დაეწყო მოულოდნელი ძლიერი ხასიათის ტკივილი მარჯვენა მენჯ-ბარძაყის სახსარში, რის გამოც გაუკეთდა ამ სახსრის რენტგენოგრამა, რომელზედაც აღმოჩნდა სიმსივნის მეტასტაზი. ამ მომენტიდან ავადმყოფს დაეწყო მკურნალობა პრეპარატ „კამელინით". იგი გაეწერა გაუმჯობესებულ მდგომარეობაში, ტკივილი გაუქრა, ჩაიტარა მკურნალობის ოთხი კურსი. ამჟამად თავს კარგად გრძნობს, მუშაობს ფიზიკურად.

პრეპარატი „კამელინი" კლინიკის მიერ გამოყენებული იყო 96 ავადმყოფზე.

პრეპარატი „კამელინი" წარმოადგენს ბიოსტიმულატორს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობს ორგანიზმში სიმსივნური ქსოვილის უკუგანვითარებას და ქსოვილთა რეგენერაციული პროცესების აქტივიზაციას.